ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 194 (18736) | სამშაბათი, 23 აგვისტო 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

ანგარიშს აბარებს დეპუტატი

ამხანაგ გ. ვ. კოლბინის შეხვედრა ამომრჩევლებთან

იმ ოცდაათი განაწესიდან, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების №669 რუსთავის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა მისცეს არჩევნებისწინა შეხვედრაზე თავიანთ დეპუტატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნეორე მდივანს გ. ვ. კოლბინს, 26 უკვე შესრულებულია ან სრულდება. კერძოდ, მარნეულში შენდება რაიონული საავადმყოფო და პოლიკლინიკა, მთავრდება 400-ადგილიანი კულტურის სახლის რეკონსტრუქცია, გამოყოფილია ნაკვეთი და შედგენილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ახალი საშუალო სკოლის აგებისათვის.

ეს დეპუტატმა გ. ვ. კოლბინმა მოახსენა მარნეულის რაიონის ამომრჩევლებს შეხვედრაზე, რომელიც 20 აგვისტოს გაიმართა პარტიის მარნეულის რაიკომის სხდომათა დარბაზში.

ამხ. გ. ვ. კოლბინმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ყოველი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ზრუნვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი მრავალმხრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, და დაწვრილებით შეეხო მარნეულის რაიონის მიღწევებს 1979 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე. მაგალითად, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის ნიხედვით მარნეულის რაიონი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ზრდის სწრაფი ტემპი განპირობებულია, უწინარეს ყოვლისა, რაიონის ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარი თვისებრივი ცვლილებებით. წინა ორი ხუთწლედის მანძილზე რაიონში მრეწველობის მოლიანი პროდუქცია ერთიორად და მეტად გაიზარდა. საშუალოდ კი რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 1,9-ჯერ გადიდდა. დაჩქარებული ტემპით ვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ამავე დროს, თქვა დეპუტატმა, რაიონში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და გადასაჭრელი საკითხია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაითვალისწინა მარნეულის რაიონის სპეციფიკური თავისებურებანი, განვითარების პერსპექტივები, მისი დიდი ხვედრითი წილი რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარებაში და მიიღო გადაწყვეტილება. შეექმნა სპეციალური კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დ. ლ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ უნდა განსაზღვროს რეგიონის შემდგომი დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებანი.

ბარნეულის პარტორგანიზაციის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა ამხანაგმა გ. ვ. კოლბინმა პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის შექმნას. ამის შედეგად მრეწველობისადმი, მშენებლობისა და ტრანსპორტისადმი პარტიული ხელმძღვანელობა კონცენტრირებულია პარტიის საქალაქო კომიტეტში, ხოლო სოფლის მეურნეობისადმი — რაიკომში. გარდა ამისა, ორი პარტიული კომიტეტის შექმნა ხელს შეუწყობს იმას, რომ უურადღება მიაპყრონ იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობის მთავარ საკითხებს, უფრო მეტად დაუახლოვონ იგი მოსახლეობას, უკეთ გაითვალისწინონ მკვიდრ მცხოვრებთა ინტერესები მათი პროფესიული, ეროვნული და სხვა თავისებურებების საფუძველზე.

პარტია, თქვა შემდეგ ამხ. გ. ვ. კოლბინმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტური შენებლობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს.

მრავალეროვანი საქართველო განთქმულია თავისი ინტერნაციონალური ტრადიციებით, ისინი ხორცშესხმულია ქართველებისა და რუსების, აფხაზებისა და ოსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ერთობლივი შრომით... სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მეგობრობა, რომელსაც ისტორიის სიღრმეში აქვს გადგმული ფესვები, წლითიწლობით მდიდრდება ახალი შინაარსით, კიდევ უფრო მრავალმხრივი ხდება.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მოახლოება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სულ უფრო მტკიცდება არა მარტო რუსი და ქართველი ხალხების, არამედ რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების ერთიანობა. ამას ცხადყოფს მარნეულის რაიონის მაგალითი, სადაც ერთ ოჯახად ცხოვრობენ ოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. აქ მიმდინარეობს დიდი მუშაობა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, რომელიც განსაკუთრებით ქმედითია იმიტომ, რომ ეყრდნობა ფართო ეკონომიკურ, სოციალურ გარდაქმნებს რეგიონში.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გონებრივის ჩანერგვისათვის მუშაობა, აღნიშნა ამხანაგმა გ. ვ. კოლბინმა, დღეს რაიონში ფორმით უფრო მრავალფეროვნად და შინაარსით უფრო ღრმად წარმოეს, უფრო მეტად ითვალისწინებს ადამიანთა მოთხოვნებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ყველა საკითხი გადაწყვეტილი იყოს და არავითარი პრობლემა აღარ გვჭონდეს. დიახ, პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია და მათ გამო დიდი მუშაობა ელით პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ ინსტიტუტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ე. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით.

ერთაშორისი ურთიერთობის საკითხთა დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, თქვა დეპუტატმა, ვცდილობთ გადავწყვეტოთ ისინი მეცნიერულ საფუძველზე. ამ მიმართულებით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ინტერნაციონალური აღზრდის საკოორდინაციო საბჭო.

დასასრულ ამხანაგმა კოლბინმა თავის ამომრჩევლს აღუთქვა, რომ კვლავაც ყოველნაირად ეცდება შეასრულოს ნათი დავალებანი.

დეპუტატისადმი გამოთქვა ახალი განაწესები.

ამხანაგი გ. ვ. კოლბინი ეწვია რაიონის მეურნეობებს, დაათვალიერა ბაღ-ვენახები, ესაუბრა სოფლის მშრომელებს. (საინფორმი).

СССР-ის ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

535 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲤᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲐᲠ ᲨᲔᲕᲬᲧᲕᲔᲚᲝᲗ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ!

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, სეზონის დაწყებიდან 22 აგვისტოსათვის მოკრეფილია 420.162 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშან ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 368.982 ტონა. 22 აგვისტოს მოკრეფა 2.316 ტონა ნედლეული, წინა დღეს კი — 3.001 ტონა, ანუ 685 ტონით ნაკლები. ეს არცთუ ისე მცირე დანაკლისია.

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 75.461 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდის — 55.609 ტონა, ქობულეთის — 38.699 ტონა, გალის — 37.776 ტონა, ოჩამჩირის — 32.174 ტონა, წალენჯიხის — 26.441 ტონა, ანაზრაზოვის — 21.867 ტონა, ჩხოროწყუს — 19.713 ტონა, ვანეკორის — 19.234, ტონა, ხელვაჩაურის — 18.334 ტონა, ჩოხატაურის — 12.323 ტონა, წყალტუბოს — 10.043 ტონა, ცხაკაიის — 9.910 ტონა, ხობის — 9.071 ტონა, ტყიბულის — 9.103 ტონა, წულუკიძის — 7.569 ტონა, გუდაუთის — 6.046 ტონა, სამტრედიის — 2.794 ტონა, გულრიფშის— 2.200 ტონა, ქიათურის — 1.313 ტონა, თერჯოლის — 1.206 ტონა, ქედის — 1.133 ტონა, ვანის— 912 ტონა, აბაშის — 660 ტონა სოხუმის — 576 ტონა.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲛᲘᲐᲠᲗᲕᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲠᲝᲨᲐᲡ?

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის კოლმეურნეობაში თავგამოჩინეს მეხუთე ბრიგადის (ხელმძღვანელი მ. მორჩილაძე) მკრეფავებმა, რომლებმაც სახალხოდ გაანადგეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. ფოთლის კრეფის წლიური დავალება 267 ტონას ითვალისწინებდა, მათ მოკრიფეს და წარმოებას ჩაბარეს 275 ტონაზე მეტი ნედლეული. გასულ წელთან შედარებით 3 პროცენტით გაზარდეს ნედლეულის ხარისხი.

ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ კრეფის სეზონის დამთავრებამდე სულ ცოტა 30 ტონა ზეგეგმითი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

როცა ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ, ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡ

Ახლა ჩვენს სკოლაში მღელვარე მოლოდინით სავსე დღეებია; მიიწურა ხალისიანი, მზიანი, შინაარსიანი საზაფხულო არდადეგების დრო და სადაცაა საზეიმოდ ჩამორეკავს სექტემბრის ზარი. როგორც ყოველთვის, ახლაც, ამჯერადაც ახალი სასწავლო წელისათვის პედაგოგთა საქმიან სამზადისს მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები დაადგირგვინებს. ამ ტრადიციულ, მაგრამ მუდამ განუმეორებელ დიდ პედაგოგიურ საბჭოზე მასწავლებლები თავიანთ ფიქრებსა და მოსაზრებებს, თავიანთ გულისნადებს გაუზიარებენ ერომანთან 23-29 აგვისტოს.

მართლაც რომ, განსაკუთრებული, ღრმა შინაარსის შემცველია აგვისტოს ეს შვიდი დღე ჩვენი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელებისათვის, რომლებისთვისაც მუშაობის თავარზე მთავარი ორიენტირია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების მითითებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებიდან „საბჭოთა კავშირის მესამოცე წელი“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე მისი სიტყვებიდან გამომდინარე დებულებები და დასკვნები.

სახალხო განათლების ორგანოების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების საპატიო ვალია მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის, საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის.

ძნელად თუ მოიძებნება პროფესია, რომელიც თავისი კეთილშობილური მიზნებითა და მისწრაფებებით, მოწოდებითა და დანიშნულებით მასწავლებლის, აღმზრდელის საპატიო საქმის ტოლად და ბადლად მიაჩნდეს ხალხს. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ, რამდენადაც საპატიოა დაკისრებული საქმე, იმდენად უფრო დიდია მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

იწყებენ რა ახალ სასწავლო წელს ღირსსახსოვარი მოვლენის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულის წინა ხანებში, ჩვენს სახელოვან პედაგოგებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ, სხვა არსებით ამოცანებთან ერთად, სახალხო განათლების სისტემის ყოველი მუშაკის ნიადაგ ზრუნვის საგანი უნდა იყოს ბავშვების, მოზარდთა აღზრდა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის სულისკვეთებით, დიადი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის, ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობით, ბურუჟაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებელი დამოკიდებულებით.

აგვისტოს თათბირებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რეკომენდაციებში ისიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ახლანდელ ეტაპზე სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის საკვანძო საკითხია მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობისათვის, პროფესიის დასაუფლებელი არჩევისათვის ახალგაზრდობის მომზადება, საზოგადოებრივ-სასარგებლო და საწარმოო შრომაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა, მათში მაღალი შეგნების, ინიციატივის, საზოგადოებრივი მოვალეობის, დისციპლინის, სახალხო ქონებისადმი უყირათიანი დამოკიდებულების გამომუშავება, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარება.

როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის XIV პლენარულ სხდომაზე პარტიის მიერ დასახული იდეოლოგიური, მახვილგონიერ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ ამოცანების გახორციელების საკითხებზე მსჯელობდა, განსაკუთრებით გამოყო მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის ამოცანები. პლენუმმა მოიწონა აზრი, რომ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიული საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, ამ მუშაობაში ჩაებნენ ცენტრალური კომიტეტის წევრებიც, ბიუროს წევრებიც, ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის, თუ როდიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორ ზრუნავს ჩვენი პარტია სახალხო განათლების საკითხებისათვის.

ახლანდელი კონფერენციების პლენარულ სხდომებზე ორი ძირითადი მოხსენება განიხილება: „მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის აქტუალური ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად“, „1982-1983 სასწავლო წლის შედეგები და პედაგოგიური კოლექტივებისა და სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი 1983-1984 სასწავლო წელს“.

კონფერენციის პლენარული სხდომებისა და სექციების მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის, სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაში არსებული მოწინავე გამოცდილების ღრმა ანალიზი, მათს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა პირუთვნელი და ობიექტური კრიტიკა.

ბუნებრივია, პლენარულ სხდომებზე წარმოდგენილ მოხსენებებსა და კამათში მონაწილეთა სიტყვებში მთავარი ყურადღება დაეთმობა სახალხო-აღმზრდელობითი პროცესის იდეოლოგიურ მომართულებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მასალების განხილვას, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელებისათვის ღონისძიებათა განსაზღვრას.

პარტია სახავს ამოცანას, რომ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივ მუშაობაში უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იქცეს მოსწავლეთა შრომითი აქტიურობის აღზრდა, შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გააზრება, შრომის ზნეობრივი არსის ცხადყოფა.

„აღზრდის კარგი საშუალებაა სწავლების ნაყოფიერ შრომასთან დაკავშირება. მტკიცედ უნდა განვახორციელოთ მოსწავლისათვის სასარგებლო შრომის ჩვეულება და სიყვარულის ჩანერგვის კურსი. ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა, მაგრამ აუცილებლად ნამდვილი შრომა — ნაყოფიერი, საზოგადოებისათვის საჭირო“, — აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა დიდად შეაფასა გამოცდილება, რომელიც ჩვენმა სკოლამ შეიძინა შრომითი აღზრდის დარგში, მაგრამ ამასთანავე მიუთითა, რომ აუცილებელია უფრო რაციონალურად, ეფექტიანად, სრული უკუგებით გამოვიყენოთ იგი. ასეთია სწორი გზა, რომელიც სახალხო განათლების მუშაკებს ამ საქმეში არსებული პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება. ეს პრობლემები კი მწვავედ დგას დღის წესრიგში. „საუკეთესო სკოლებშიც კი, სადაც, ერთი შეხედვით, რიგიანად არის დაყენებული შრომითი სწავლება, კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნახევარი იწყებს მუშაობას ან განაგრძობს სწავლას სასკოლო შრომითი სწავლების პროფილით“ — ითქვა პლენუმზე.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, საზოგადოებრიობასთან და ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით. უნდა გვახსოვდეს, რომ კარგი შრომითი მომზადება პროფესიული სწავლების, ცხოვრებისეული გზის შეუმცდარი არჩევანის საფუძველია.

ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმის წარმატება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის ცოდნასა და პროფესიულ ოსტატობაზე, არჩეული პროფესიისადმი მის მგზნებარე, უღალატო სიყვარულზე, მის უნარზე, ჩაწვდეს ბავშვის რთულ, ზოგჯერ წინააღმდეგობრივ სულიერ და ინტელექტუალურ სამყაროს. მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ მტკიცედ და ღრმა ცოდნა შეიძინოს მოსწავლემ, შთაგონებულ შრომად ექცეს ყმაწვილს სწავლა, აღიზარდოს შეგნებულ, დისციპლინირებულ პიროვნებად. პედაგოგები, უწინარესად, თავიანთი პირადი მაგალითით უნდა უნერგავდნენ შეგირდებს სანიმუშო მოქალაქეობრივ თვისებებს, მათ შორის საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინისადმი პატივისცემის გრძნობას.

მთელი ჩვენი ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

სკოლა და დისციპლინის ცნება განუყრელია ერთმანეთისაგან. აი, რატომ არის, რომ ჩვენი მასწავლებლები მხურვალედ იწონებენ ამ მნიშვნელოვანი დადგენილების ყოველ დებულებას. მაღალი პასუხისმგებლობის, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გრძნობა, თავისი საქმიანობისა და მისი შედეგებისადმი მომთხოვნი დამოკიდებულება ჭეშმარიტი პედაგოგისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშან-თვისებებია.

ახლა, როცა მთავრდება ახალი სასწავლო წლისათვის სამზადისი, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ დიდ საქმეში დისციპლინასა და ორგანიზებულობას. იქ, სადაც პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მოვალეობას, სახელმძღვანელობენ ხალხიდან, დღეს უკვე რიგზეა ყველაფერი: შეკეთებულია სასკოლო შენობები, გარკვეულია კადრების საკითხები, მომზადებული არიან ახალგაზრდა სპეციალისტთა მისალებად და სხვა.

საპირველსექტემბეროდ მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 39 ახალი სასკოლო შენობის კარი გაიღება ხაზეინოდ თექვსმეტი ათასზე მეტი მოსწავლისათვის, ამ დღეს ათას ხუთასზე მეტი ახალგაზრდა მასწავლებელი შეხვდება პირველად თავის პატარა აღსაზრდელებს. დროულად დაისტამბა 103 დასახელების სახელმძღვანელობანი, რომლებსაც უფასოდ მიიღებენ ყველა ახალის ყმაწვილები, დაწყებული მოსამზადებელი და დამთავრებული გამოსაშვები კლასის მოსწავლეებით.

დისციპლინირებულობა, ორგანიზებულობაა იმის პირველი საწინდარი, რომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყოველმხრივ მობილიზებულნი შეხვდნენ აგვისტოს კონფერენციების პასუხსაგებ პერიოდს სახალო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები.

წარმატებული მუშაობა ვუსურვოთ დიდი პედაგოგიური საბჭოს ყველა მონაწილეს.

დაე, თავიანთ კეთილშობილურ მოღვაწეობაში, დიდსა და საპატიო საქმეში ჩვენს მასწავლებლებს ენერგიას, სტიმულს მატებდეს მამობრივი ზრუნვით აღსავსე სიტყვები, რომლებითაც ჩვენი ახალგაზრდობა დაახასიათა ი. ვ. ანდროპოვმა პარტიის ვეტერანებთან ამას წინათ გამართულ სამახსოვრო შეხვედრაზე: „...ყოველი ახალი თაობა რაღაცით ძლიერია წინანდელზე, მეტი იცის, უფრო შორს ხედავს. გაგახსენებთ ვ. ი. ლენინის სიტყვებს: „„ჩვენ უკეთ ვიბრძვით, ვიდრე ჩვენი მამები იბრძოდნენ. ჩვენი შვილები კიდევ უფრო უკეთ იბრძოლებენ და გაიმარჯვებენ“. ამიტომ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ეს სიტყვები, როცა ვასწავლით, ვზრდით ახალგაზრდობას“.

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი წარმატებას აღწევს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოს მშრომელები სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს და იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: გაერთიანების მოწინავე მჭსოველი, კომკავშირელი მერი თოდუა დაწინაურდა შრომით მეტოქეობაში და ყოველდღიურ ნორმებს 115-120 პროცენტით ასრულებს.

ს. კილაძის ფოტო.

7135 ᲢᲝᲜᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ

თერჯოლის რაიონის მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრონ მეთერთმეტე სუთწლედის მესამე წელი, დაამზადონ 7135 ტონა ბოსტნეული. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყეს ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება. 1 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მიეყიდა 2500 ტონაზე მეტი ბოსტნეული. განსაკუთრებთ ხახვის უხვი მოსავალი მიიღეს ქვედა სიმოხეთის კოლმეურნეობაში, სადაც 131 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 420 ტონა ხახვი. ასეთივე უხვ მოსავალს იღებენ ნახშიროელისა და გოდოგანის კოლმეურნეობები.

საადრეო კომბოსტოს კარგი მოსავალი მიიღეს კვახჭირის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში, სახელმწიფოს მიეყიდა 1.395 ტონა კომბოსტო, ნაცვლად საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 820 ტონისა.

მებოსტნეები წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდიან 7.135 ტონა ბოსტნეულს, აქედან 4.725 ტონა პამიდორს.

ვ. კუტალაძე,
„კომუნისტის“ კორ.

ᲕᲐᲓᲦᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

თბილისის რკინიგზის კავშირგამბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის ფარგლები თბილისის სამგზავრო სადგურიდან ვასპამდეა გადაშლილი. ამ უბანზე ყველა მოწყობილობა გადავიდა კოდური ავტობლოკირებაზე. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადების პერიოდში აქ კიდევ ერთი სიახლე დაინერგა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ორლიანდაგიანი კოდური ავტობლოკირება კავთისხევი-ვასპის გადასარბენზე. ამიერიდან თბილისის განყოფილების ხაშურის უბნის დისპეტჩერს აღარ დასჭირდება მატარებელთა შეფერხება. ორლიანდაგიანი მარშრუტი თბილისიდან ვასპამდე მზად არის! ამით იუბილესათვის ნაკისრი ვალდებულება ვადამდე შესრულდა.

ყველა სამოტანაო და გასაწყობი სამუშაო ახალი ორლიანდაგიანი კოდური ავტობლოკირების უბანზე კავშირგამბმულობისა და სიგნალიზაციის კოლექტივმა საკუთარი ძალებით შეასრულა. მუშა ჯგუფმა საწარმოო უბნის უფროსის გ.. კეშელავას და დისტანციის უფროსის მოადგილის ვ. გელაძის მეთაურობით აპარატურა და უბანი ვადამდე ჩაბარა. ენერგიულად იშრომეს უფროსმა ელექტრომექანიკოსმა დ. ჯმუხაძემ, ელექტრომექანიკოსებმა ა. ბარნოვმა, ნ. ბალახაძემ და სხვა სპეციალისტებმა.

ორლიანდაგიანი კოდური ავტობლოკირების ამოქმედება ხელს შეუწყობს კავშირგამბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას მეთერთმეტე ხუთწლედში.

ს. გუზალაძე,

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲓᲐᲫᲚᲔᲣᲚᲘᲐ

ქვაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქაურმა მაღაროელებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. განადგებულია ამ თარიღისათვის ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ჩამორჩენის დაძლევასა და შემდგომში მოპოვებული პოზიციების განმტკიცებას ითვალისწინებდა.

მადნის ამოღებისა და მისი გადამუშავების შემდინარე წლის შვიდი თვის გეგმები ქვაისელმა მაღაროელებმა შესაბამისად 110,5 პროცენტითა და 109,3 პროცენტით შეასრულეს. საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

ასეთი მიღწევები, უპირველესად, სოციალისტური შეჯიბრების მაღალმა ორგანიზაციამ, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებამ, მორალური და მატერიალური სტიმულირების სხვადასხვა ფორმების დანერგვამ განაპირობა. სამუშაოზე ადამიანები ხალისით და ენთუზიაზმით აღვსილნი გამოდიან, მაღაროს დაუბრუნდნენ შრომის ვეტერანები, პენსიონერი მბურღავები, გვირაბგამყვანები სხვა პროფესიის სამოოელები. მათ შორის გახლავთ ა. ხუგაევი და პ. ბაზაევი, რომლებიც ოცდაათი წელი იღვწოდნენ ქვაისში და ცოტა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგნენ.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ვეტერანები ტოლს არავის. უდგებენ და ღღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ. მათი გადაწყვეტილებაა საიუბილეოდ შეასრულონ წლიური გეგმები და არ უკლონ შრომის ტემპს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲗᲐᲑᲭᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ

— **უსაზღვროდ** ბედნიერი ვარ, რომ პარტიის ვეტერანებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის მონაწილეობის პატივი მხვდა წილად, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს სკკპ წევრმა 1921 წლიდან მაკარ ჯაში თბილისის აეროპორტში. აქ მოსკოვში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილ წარმომადგენლებს მიესალმა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

იყო რა მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც თავდადებული შრომისათვის დაჯილდოვდა ენინის, შრომის, წითელი დროშის, პირველი ხარისხის სამამული ომისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, იყო პარტიის XVIII ყრილობის დელეგატი, მაკარ ჯაში დღესაც, თავისი ოთხმოცი წლის ასაკის მიუხედავად, მწყობრშია. იგი მეთაურობს პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკურ საბჭოს.

— ყველა ჩვენგანი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის ღრმა შთაბეჭდილებას განვიცდით. ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის საპროგრამო გამოსვლა გულში ჩასწვდა თითოეულ ვეტერანს, ჩვენი ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვია. ის ფაქტი, რომ მოსკოვში მიგვიწვიეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, მოწმობს, თუ რაოდენ გვაფასებენ, როგორ ზრუნავენ ჩვენთვის.

მოსკოვის შეხვედრა ღირსშესანიშნავია. მან ცხადყო, თუ რა მტკიცე და განუყრელია საბჭოთა ადამიანების თაობათა კავშირი.

ჩვენს ვეტერანებს სხვადასხვა ასაკი, სხვადასხვა გამოცდილება სხვადასხვა ინტერესები აქვთ. ამიტომ თითოეულ ჩვენგანს ეხებოდა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ თითოეული ჩვენგანისათვის გამოინახოს საქმე, რომელიც ხელგაფიფობა და მოგვწონს.

მოსკოვში გა

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

სიძნელეებთან ჭიდილში

ჯარჯგუშორგის საინფორმაციო ბარათი: გიორგი ზინიას ძე კაპანაძე, დაბადებული 1940 წელს, საშუალო განათლებით, უმაღლესი კვალიფიკაციის გვირაბგამყვანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, სამი შვილის მამა...

—„ჩვენ დიდი პატივისცემით ვეკიდებით საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივს...“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მიერ ზესტაფონში, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე წარმოთქმული ეს სიტყვები სიამაყის გრძნობას გვბადებს მაღაროელებს და მამდიდრებლებს. ეს არის შრომის დიდი დაფასება, ახალი შემართებისათვის მოწოდება — ასე დაიწყო თავისი საანგარიშო მოხსენება პარტჯგუფორგმა. იგი აგებული იყო „პირველად, რაიონულ, საქალაქო, საოკრუგო და სამხარეო პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. იმ დღეს მთელ კრებას გასდევდა დადგენილების მოთხოვნა „ზუსტად განესაზღვროთ სამერმისო ამოცანები, რათა მყარი ხასიათი მივანიჭოთ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუმჯობესების დასახულ ტენდენციას“.

ეს სტრიქონები თითქოს საგანგებოდ ლენინის სახელობის მაღაროსათვის დაუწერიათ. ეს უდიდესი სამთო საწარმო წლების განმავლობაში განიცდიდა სიძნელეებს. უჭირდა გეგმების შესრულება. არადა, თავისი დიდი ხვედრითი წილის გამო ძალზე ბევრ საფიქრალს და საზრაზნავს უჩენდა მთლიანად გაერთიანებას. წელს ნავსი გატყდა. რიტმულად სრულდება დავალებანი. შვიდ თვეში დამზადებულია 252,452 ტონა სასაქონლო პროდუქცია. მათ შორის 115.401 ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატია. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაიზოგა 381.200 მანეთი. ამ სიუხვეში თავისი წვლილი უდევს ჭალების მაღაროს № 1 საწარმოო უბნის ექსპლოატაციის ცვლას, სადაც საქმეს უძღვება გ. კაპანაძის ხუთკაციანი პარტიული ჯგუფი.

ექსპლოატაციის ცვლა დაკომპლექტებულია ფართო პროფილის გვირაბგამყვანებით. ისინი ერთნაირად ფლობენ ბურღვას, მტვირთავი მანქანის მართვას, სანგრევის გამაგრებას, რკინიგზის დაგებას და აფეთქებას. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ მათ სამუშაო ველს არავინ უმზადებთ და ერთდროულად უხდებათ მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებაც და მადნის მოპოვებაც. საქმეს ისიც ართულებს, რომ უბანი ადრე გამომუშავებულ ველში ახორციელებს მანგანუმის მოპოვების სამუშაოებს. აქ დარჩენილია ძველი სამაგრი ბიგები, ხშირია ჩამოქცევები, წყლის მოდენა.

სიძნელეები ვერ აშინებთ თავიანთ პროფესიაზე რომანტიკულად შეყვარებულ სამთოელებს. საანგარიშო კრებაზე დაასახელეს ცვლაში მომუშავე თერთმეტივე მაღაროელი, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ პირად დავალებებს, ხოლო კომუნისტები გ. კაპანაძე, ბ. იაკობაშვილი, თ. გაბაძე მართლაც სანმუშონი არიან და დროის დიდი გასწრებით შრომობენ.

—ამ დღეებში ურთულეს გეოლოგიურ პირობებში გვიდგება მუშაობა, — თქვა კომუნისტმა გ. ჯაოშვილმა, — ძალზე გვიჭირს. უკანასკნელ ორ თვეში ბურღვა ვერ ასრულებს ნორმას. ეს ნიშნავს, ამ ნორმის ნაწილი ბურღვა ბურღვა, ბურღვა, ბურღვა,

ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲕᲔᲚᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტური სამშენებლო რაზმი 350 მებრძოლის შემადგენლობით ერთ თვეზე მეტია წარმატებით შრომობს კომის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში, ქალაქ სიკტივკარში.

ქართველი სტუდენტების ძირითადი სამშენებლო ობიექტი სიტივკარის ხის სამრეწველო კომბინატის მეორე რიგის მშენებლობაა — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კომბინატი. მისი ტერიტორიის კეთილმოწყობაზე ენერგიულად, მუყაითად შრომობენ სახაზო რაზმების „კოლხეთის“, „აისის“ და „ოვერიის“ მებრძოლები. თავი გამოიჩინეს ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ე. ასპანიძე, ნ. მაღლაკელიძე, ს. კაკაურიძე, რ. გორგვლიანი და სხვები.

მეტად პასუხსაგები ობიექტის მშენებლობა დაეკალათ სახაო რაზმებს „თბილისსა“ და „გურიას“ (მეთაურები თ. სერგია და თ. საჯაია). ეს გიგანტური სტადიონის მშენებლობა დაბა ეძვაში, რომელიც მალე საზეიმოდ უნდა გაიხსნას და სადაც მოეწყობა ეძვაის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი. როდესაც ჩვენი რაზმი ჩამოვიდა, ეძვას სტადიონი ფაქტობრივად არ არსებობდა (აღმართული იყო მხოლოდ განათების კოშკურები), ამჟამად კი სათამაშო მოედნისა და სარბენი ბილიკების კეთილმოწყობა დამთავრებულია, მინდორი მწვანედ ხასხასებს, მიმდინარეობს მისასვლელი გზებისა და მოედნების დაბეტონება და კეთილმოწყობა. საფეხბურთო მოედანს, რომელსაც ძირითადად „თბილისის“ რაზმის მებრძოლები აკეთებდნენ „სტუდენტური ხარისხის ნიშანი“ მიენიჭა (რაზმის ოსტატი ა. ბატურინი). დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებენ „გურიის“ რაზმის მებრძოლებიც. თავი გამოიჩინეს ბრიგადირებმა ა. არდემანაშვილმა, რ. მინდიაშვილმა, ი. ბარამიძემ, მ. ღლონტმა, რ. აბულაძემ, მებრძოლებმა ბ. გოგიამ, ნ. კერესელიძემ, ბ. ნაჭყებიამ, ვ. რუხაიამ, ღ. ოსმანოვმა, დ. ბარამიძემ, ა. გაბარაევმა, ო. სოროკინმა და სხვებმა.

ქართველ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეძვას ფსიქიატრიული საავადმყოფოს მშენებლობაში, რომელიც, ქალაქის პარტიული ორგანოების თხოვნით, ჩვენი საშეფო ობიექტი გახდა. ამ ობიექტზე შაბათობათა მოწყობას ზონის მთავარი ინჟინერი გ. ხოფერია ხელმძღვანელობს.

„მთაწმინდის“ რაზმის მებრძოლები (მეთაური გ. ჩუბინიძე) წარმატებით მუშაობენ ქალაქის მთავარი ცენტრალური რკინიგზის სადგურის მშენებლობაზე, რაზმი ძირითადად დაკავებულია რკინიგზის ხაზების მშენებლობით.

კარგი შრომითა და ყოფით გამოირჩევიან „კავკასიონის“ რაზმის მებრძოლები (მეთაური გ. ონნიკაშვილი, კომისარი ლ. ჩიკვაიძე), რომლებიც უმთავრესად საბაგშო ბაღისა და 72-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მუშაობენ. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ამ რაზმის მებრძოლების კეთილშობილური საქციელი, რომელიც მთელმა ქალაქმა შეიტყო და დიდ-პატარა გაახარა. ერთ დღეს, როცა მებრძოლებს ჩვეულებრივი სამუშაო დღე ჰქონდათ, ქალაქს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმა საშინელი ჭექა-ქუხილითა და ღვარცოფით. დაახლოებით 30-მდე ბავშვი აღმზრდელთან ერთად ამ დროს თავშეფარებული აღმოჩნდა ხის ქოლგის ქვეშ, მაგრამ მოძალებული სტიქიის გამო მათს სიცოცხლეს აშკარა საფრთხე შეექმნა. როცა ჩვენს ბიჭებს შემოესმათ ბავშვების გნიასი და ტირილი, არც დაფიქრებულან, ისე გადაეშვნენ წყალში და თავიანთ უბეში შეფარებული პატარები საბოლოოდ მშვიდობიანად გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილზე. ის იყო, უკანასკნელი ბავშვიც გამოარიდეს ქოლგას, რომ იგი ერთბაშად ჩამოიქცა და წყალმა წაიღო. ასე ისახელეს თავი ვაჟაკაცობით ბიჭებმა, რომლებიც შრომაშიაც არავის უდებენ ტოლს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩევა რაზმი „ოდიში“ (მეთაური ტ. უბილავა). რაზმმა ერთ თვეში ორი თვის საწარმოო გეგმა შეასრულა. თავი გამოიჩინეს მებრძოლებმა ხ. სოზაშვილმა, ზ. ბიბიაშვილმა, ზ. კაპარავამ, გ. გუნიავამ, ზ. ნოდიამ, ზ. ხიდურმა, ვ. კრავიშვილმა და სხვებმა.

ძალზე პოპულარული გახდა სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტური ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ერიდანი“ (ხელმძღვანელი პ. ციცქიშვილი), რომელმაც უკვე გამართა 15 კონცერტი და ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიითაც გამოვიდა.

მოეწყო მეტად სამახსოვრო შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, კაფე-საღამოები, დისკოთეკები. გრძელდება სპარტაკიადა, ვემზადებით თვითმოქმედი კოლექტივების ოლიმპიადის მოსაწყობად. ხელი წავაშველეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. დავამზადეთ 15 ტონა თივა, 12 ტონა უხეში საკვები, გავმარგლეთ 20,4 ჰექტარი კომბოსტოს ნათესი და სხვა.

საწარმოო გეგმა შესრულებული გვაქვს თითქმის ოთხმოცი პროცენტით. გვჯერა, აგვისტოს ბოლო უფრო მეტ სიხარულს მოგვიტანს; უთუოდ, დიდი წარმატებით დავამთავრებთ შრომითს სემესტრს, რომელსაც რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავს ვუძღვნით.

თ. ᲮᲛᲔᲚᲘᲫᲔ,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტური სამშენებლო ზონალური რაზმის „ეძვა-88“-ის მეთაური.

თავიდან ავიცილოთ კოსმოსის მილიტარიზაცია

სსრ კავშირის ახალი ინიციატივა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს

პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,

საბჭოთა კავშირს წინადადება შემოაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოცდამეთვრამეტე სესიის დღის წესრიგში შეიტანოთ საკითხი „კოსმოსურ სივრცეში და კოსმოსიდან დედამიწის მიმართ ძალის გამოყენების აკრძალვის თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ“.

შემოაქვს რა ეს წინადადება, სსრ კავშირი ხელმძღვანელობს იმ მისწრაფებით, რომ არ დაუშვას კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმადგენს სხვადასხვა სისტემის კოსმოსური იარაღის შექმნისა და განლაგების გეგმები, რომელსაც შეუძლია დააზიანოს სამზნეები, როგორც კოსმოსში, ისე დედამიწაზე.

საბჭოთა კავშირს უაღრესად საჭიროდ მიიჩნია საომედო დაბრკოლება შეექმნას მთელი კაცობრიობისათვის საშიში საფრთხის წყაროდ კოსმოსის გადაქცევის ამ გეგმებს, სასწრაფოდ განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამალებული შეიარაღების გადატანა. იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა,— კოსმოსურ სივრცეში.

ხელმძღვანელობს რა ამ მიზნით, სსრ კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1981 წელს შეიტანა წინადადება იმის თაობაზე, რომ დაიდოს ხელშეკრულება კოსმოსურ სივრცეში ყოველგვარი იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ, რომელიც მოიწონა გენერალურმა ასამბლეამ. მაგრამ ამ ხელშეკრულების შემუშავება გარკვეული მიზეზების გამო პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

მაგრამ დრო არ ითმენს, და ახლა სსრ კავშირს შემოაქვს წინადადება წავიდეთ კიდევ უფრო შორს და შევთანხმდეთ საერთოდ კოსმოსურ სივრცეში, ისე როგორც კოსმოსიდან დედამიწის მიმართ, ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ. მას სესიის განსახილველად შემოაქვს შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი.

ხელშეკრულების ამ პროექტის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ სახელმწიფოთა პოლიტიკურ-სამართლებრივი ვალდებულებანი — არ დაუშვან ძალის გამოყენება ერთმანეთის მიმართ კოსმოსში და კოსმოსიდან, — შეხამებული იყოს მატერიალური ხასიათის ღონისძიებებთან, რომელთა მიზანია კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის დაუშვებლობა.

კონკრეტულად საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ მთლიანად აიკრძალოს დედამიწაზე, საჰაერო და კოსმოსურ სივრცეში ობიექტების დაზიანებისათვის კოსმოსური ბაზირების ყოველი იარაღის გამოცდა და განლაგება კოსმოსში.

იგი საჭიროდ მიიჩნევს აგრეთვე რადიკალურად გადაწყდეს საკითხი თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის შესახებ. სახელმწიფოებმა მთლიანად თქვან უარი ახალი თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაზე, აგრეთვე მოსპონ მათ განკარგულებაში უკვე არსებული ასეთი სისტემები.

ხელშეკრულების მონაწილეებმა უნდა იკისრონ აგრეთვე ვალდებულება რაიმე სხვა გზით არ მოსპონ, არ დაზიანონ, არ დაარღვიონ სხვა სახელმწიფოთა კოსმოსური ობიექტების ნორმალური ფუნქციონირება და არ შეცვალონ მათი ფრენის ტრაექტორია.

გარდა ამისა, წინადადება შემოგვაქვს აიკრძალოს სამხედრო, მათ შორის თანამგზავრსაწინააღმდეგო, მიზნით პილოტირებული კოსმოსური ხომალდების გამოცდა და გამოყენება, რომელთა ხმარება მთლიანად უნდა ემსახურებოდეს მრავალფეროვანი სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ამოცანების ჯადაწყვეტას.

საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული შორსგამიზნული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელება დიდი რეალური ხელშესახები წვლილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წინათ მოწონებული მიზნის მიღწევაში, კოსმოსის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში.

გთხოვთ, ბატონო გენერალურო მდივანო, ეს წერილი მიიჩნიოთ ახსნა-განმარტებით ბარათად, რომელიც გთვალისწინებულია გენერალური ასამბლეის პროცედურის წესებით, და გაავრცელოთ იგი თანდართულ ხელშეკრულების პროექტთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად.

Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

კოსმოსურ სივრცეში და კოსმოსიდან დედამიწის მიმართ ძალის გამოყენების აკრძალვის

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც,

ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომლის შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები თავს იკავებენ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალით ან მისი რამენაირად გამოყენებით დამუქრებისაგან, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან,

ცდილობენ თავიდან აიცილონ გამალებული შეიარაღება კოსმოსურ სივრცეში და ამით შეამცირონ კაცობრიობისადმი ბირთვული ომის საფრთხე.

სურვილი აქვთ შეიტანონ წვლილი მიზნის მიღწევაში, რომლის შესაბამისად კოსმოსური სივრცის, მათ შორის მთვარისა და სხვა ციური სხეულების, კვლევა და გამოყენება ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით,

დათქვეს შემდეგი:

მუხლი 1.

აკრძალულია ძალის გამოყენება და ძალის გამოყენებით დამუქრება კოსმოსურ და საჰაერო სივრცეებში და დედამიწაზე, ამასთან ამ მიზნით დედამიწის ირგვლივ ორბიტებზე, ციურ სხეულებზე ან კოსმოსურ სივრცეში რაიმე სხვა წესით განლაგებული კოსმოსური ობიექტების გამოყენება დაზიანების საშუალებად.

აკრძალულია აგრეთვე ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენებით დამუქრება დედამიწისიგვლივ ორბიტებზე, ციურ სხეულებზე ან რაიმე სხვა წესით კოსმოსურ სივრცეში განლაგებული კოსმოსური ობიექტების მიმართ.

მუხლი 2.

პირველი მუხლის დებულებების შესაბამისად ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ:

1. არ გამოსცადონ და არ განალაგონ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაყვანის, ციური სხეულებზე ან რაიმე სხვა წესით განლაგებული კოსმოსური ბაზირების ყოველი იარაღი დედამიწაზე, საჰაერო და კოსმოსურ სივრცეში მდებარე ობიექტების დაზიანებისათვის.

2. არ გამოიყენონ დედამიწისირგვლივ ორბიტებზე, ციურ სხეულებზე ან კოსმოსურ სივრცეში რაიმე სხვა წესით განლაგებული კოსმოსური ობიექტები დედამიწაზე, საჰაერო და კოსმოსურ სივრცეში ყოველი სამიზნის დაზიანების საშუალებად.

3. არ მოსპონ, არ დაზიანონ, არ დაარღვიონ სხვა სახელმწიფოთა კოსმოსური ობიექტების ნორმალური ფუნქციონირება და არ შეცვალონ მათი ფრენის ტრაექტორია.

4. არ გამოსცადონ და არ შექმნან ახალი თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემები და მოსპონ მათთან უკვე არსებული სისტემები.

5. არ გამოსცადონ და არ გამოიყენონ სამხედრო, მათ შორის თანამგზავრსაწინააღმდეგო, მიზნით ყოველი პილოტირებული კოსმოსური ხომალდი.

მუხლი 3.

ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები თანახმა არიან არ დაიბრძანონ, არ წაიქეზონ და არ აიძულონ რომელიმე სახელმწიფო, სახელმწიფოთა ჯგუფი, საერთაშორისო ორგანიზაციები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირები განახორციელონ ამ ხელშეკრულებით აკრძალული საქმიანობა.

მუხლი 4.

1. იმ მზნით, რომ დარწმუნებული იყოს ამ ხელშეკრულების დებულებათა დაცვაში, თითოეული მონაწილე სახელმწიფო იყენებს მის განკარგულებაში არსებულ კონტროლის ეროვნულ ტექნიკურ საშუალებებს ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

2. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს არ შეუქმნას შეფერხებები სხვა მონაწილე სახელმწიფოთა კონტროლის ეროვნულ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 5.

1. ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ მოეთათბირონ და ითანამშრომლონ ერთმანეთთან ყოველი საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ხელშეკრულების მიზნების მიმართ ან მისი დებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კონსულტაციები და თანამშრომლობა შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს შესაბამისი საერთაშორისო პროცედურების გამოყენების გზით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში და მისი წესდების შესაბამისად. ეს პროცედურები შეიძლება შეიცავდეს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საკონსულტაციო კომიტეტის სამსახურის გამოყენებას.

3. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საკონსულტაციო კომიტეტს იწვევს დეპოზიტარი ერთი თვის განმავლობაში ამ ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სახელმწიფოს თხოვნის მიღების შემდეგ. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დანიშნოს წარმომადგენელი კომიტეტში.

მუხლი 6.

ამ ხელშეკრულების მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ყოველგვარი შინაგანი ღონისძიებანი, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს თავისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, რათა აკრძალოს და თავიდან აიცილოს ამ ხელშეკრულების დებულებების საწინააღმდეგო ყოველგვარი საქმიანობა საკუთარი იურისდიქციით ან მისი კონტროლით სადაც უნდა იყოს.

მუხლი 7.

ამ ხელშეკრულებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით არაფერი არ ლახავს სახელმწიფოთა უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 8.

ამ ხელშეკრულების მოქმედებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით.

მუხლი 9.

ეს ხელშეკრულება უვადოა.

მუხლი 10.

1. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა შეუძლია ყველა სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის ცენტრალურ დაწესებულებებში. ყოველ სახელმწიფოს, რომელიც არ მოაწერს ხელს წინამდებარე ხელშეკრულებას მის ძალამოსილად გამოცხადებამდე, ამ მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეუძლია მიემხროს მას.

2. ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცონ მისმა ხელმომწერმა სახელმწიფოებმა. დამტკიცების სარატიფიკაციო სიგელები და მიმხრობის დოკუმენტები შესანახად უნდა ჩაბარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

3. ეს ხელშეკრულება სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარებელი სახელმწიფოებისათვის ძალამოსილი ხდება მას შემდეგ, რაც შესანახად ჩაბარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მეხუთე სარატიფიკაციო სიგელს, მათ შორის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სიგელებს.

4. სახელმწიფოებისათვის, რომელთა სარატიფიკაციო სიგელები ან მიმხრობის დოკუმენტები შესანახად ჩაბარდება ამ ხელშეკრულების ძალამოსილად გამოცხადების შემდეგ, იგი ძალამოსილი ხდება მათი სარატიფიკაციო სიგელების ან მიმხრობის დოკუმენტების შესანახად ჩაბარების დღიდან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა ხელმომწერ და მიმხრობილ სახელმწიფოს ყოველი ხელმოწერის თარიღს, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა და მიმხრობის დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღს, ამ ხელშეკრულების ძალამოსილად გამოცხადების თარიღს, აგრეთვე სხვა შეტყობინებებს.

მუხლი 11.

ეს ხელშეკრულება, რომლის რუსული, ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ჯეროვანი წესით გადაუგზავნის ხელშეკრულების დამოწმებულ პირებს ხელშეკრულების ხელმომწერ და ხელშეკრულებას მიმხრობილ სახელმწიფოთა მთავრობებს.

მოკლედ
ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲗᲓᲐᲜ

● ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. პარიზის მუშათა გარეუბან ნანტერში გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აქტივის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოს — გაზეთ „ლუმანიტეს“ 10-11 ხელტყბრის დანიშნული დღისასწაულისათვის მზადებას.

შეხვედრაზე გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გასტონ პლისონიე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაზეთის წლევანდელი დღესასწაული უთუოდ ხელს შეუწყობს პროგრესულ გარდაქმნათა განხორციელებისათვის ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების ბრძოლის აქტივიზაციას.

● ᲒᲡᲠ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲑᲝᲜᲜᲘ. უჩვეულო დემონსტრაცია გაიმართა სამრეწველო რურის ერთ-ერთ ცენტრში — ესენში. დემონსტრანტთა კოლონებში მიაბიჯებდნენ უმუშევარ მეშახტეთა ცოლები. მათ მიჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილი იყო: „წინააღმდეგი ვართ მეწარმეთა მოქმედებისა, რომლებიც განუწყვეტლივ ხურავენ შახტებს“, „მოვითხოვთ ჩვენი ქმრების დასაქმებისა და ჩვენი ბავშვების მომავლის გარანტიას“.

დემონსტრაციის მონაწილეებმა ქვანახშირმომპოვებელი კონკერნის „რურკოლეს“ სამმართველოს თავმჯდომარეს გადასცეს მეპატრონეთა თვითნებობის წინააღმდეგ საპროტესტო პეტიცია, რომელსაც ხელს აწერს რურის თითქმის 70 ათასი მეშახტე.

● ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

„ᲡᲐᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲝ“ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. შეერთებული შტატები სარგებლობს ლიბანში მომხდარი ამბებით და ცდილობს დიდი ხნით დამკვიდრდეს ამ არაბულ ქვეყანაში, გადააქციოს იგი ინტერვენციონისტული „სწრაფი რეაგირების ძალების“ ერთ-ერთ ბაზად. ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროსაზღვაო ძალების მინისტრის ჯ. ლემანის გამოსვლა ბეირუთში, სადაც იგი „საინსპექციოდ“ ჩავიდა. მისი სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ლიბანში იმდენ ხანს დაპყოფენ, რამდენიც მათ მოესურვებათ. ლემანმა არ უარყო ის, რომ „საჭიროების შემთხვევაში“ ამერიკელი ჯარისკაცები მზად არიან იხალი იხმარონ.

● ᲒᲕᲐᲢᲔᲛᲐᲚᲐ

ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გვატემალაში სამხედრო გადატრიალების შედეგად ორი კვირის წინათ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარ გენერალ მეხიას რეაქციულმა რეჟიმმა შეერთებულ შტატებს ოფიციალურად მიმართა თხოვნით გაუწიოს სამხედრო დახმარება. გაზეთ „ფილადელფია ინკუაირერის“ ცნობით, ეს თხოვნა გადაეცა სენატორ ჰ. უილკონს, რომელიც წინა კვირაში გვატემალაში ვიზიტად იმყოფებოდა.

რეიგანის ადმინისტრაცია კმაყოფილებით მიესალმა გვატემალაში მომხდარ პუტჩს.

23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲣᲦᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲣᲙᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ



ᲛᲔᲢᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

ᲗᲠᲝᲛᲘᲗᲘ წარმატებებით ეგებებიან ბუქარესტის მეტრომშენებლები ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 39 წლისთავს. ისინი ვადაზე ოთხი თვით ადრე აბარებენ საექსპლოატაციოდ დედაქალაქის მეტროპოლიტენის მესამე, დამამთავრებელ უბანს და ბუქარესტის მიწისქვეშა მაგისტრალების სიგრძე ოცდაექვსი კილომეტრს მიაღწევს, ხოლო სადგურების რიცხვი თექვსმეტამდე გაიზრდება. გადაკვეთავს რა ქალაქს აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მეტრო ერთმანეთთან დაუკავშირებს ორ მსხვილ სამრეწველო რაიონს: 23 აგვისტოს სახელობის და „რესპუბლიკის“ მანქანათაშენებელ ქარხნებს მილიტარის ინდუსტრიულ ზონასთან.

ბუქარესტის მეტროს პირველმა მატარებლებმა მგზავრების გადაყვანა ოთხი წლის წინათ დაიწყეს მიწისქვეშა გზის სიგრძე მაშინ რვა კილომეტრზე ოდნავ მეტი იყო. ორი წლის შემდეგ 17,3 კილომეტრამდე გაიზარდა. ახლა, ქთელი ხაზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მეტროპოლიტენის მომსახურებით ყოველდღიურად შვიდასი ათასი კაცი ისარგებლებს.

მიმდინარეობს სამუშაოები მეტროს მეორე რიგის ასაგებად. იგი გაივლის ცენტრს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანას ჰაპერის ინდუსტრიულ ზონას დაუკავშირებს.

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ რუმინეთის ქალაქ გეორგე-გეორგიუ-დეჟში საექსპლოატაციოდ გადაეცა კაფტანის—მავნებლებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამცველი ეფექტიანი საშუალების მწარმოებელი უნიკალური დანადგარი. ამრიგად, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა მსოფლიოში მესამე ქვეყანა გახდა, რომელიც ამ პროდუქტს უშვებს, კაფტანის წარმოება ქიმიის დარგში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია.

სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით რუმინეთში ქიმიური მრეწველობის ოცზე მეტი ობიექტი აიგო. მათ დასაბამი მისცეს მეტად მნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქტების — აზოტიანი სასუქების, სინთეზური კაუჩუკის წარმოებას, ხელი შეუწყვეს კალცინირებული და კაუსტიკური სოდის წარმოების გაფართოებას. მაგალითად, საბჭოთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გეორგე-გეორგიუ-დეჟში აშენებული რუმინეთში პირველი იზოპრენული კაუჩუკის ქარხანა რესპუბლიკას საშუალებას აძლევს დაზოგოს ვალუტა კაუჩუკის იმპორტის შემცირების გზით.

მთელი რიგი ობიექტების აგება დაკავშირებულია ამა თუ იმ სახეობის სამრეწველო პროდუქციაზე ორიგე ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ეფექტიანი გზების ძიებასთან. კერძოდ, რუმინეთიდან სსრ კავშირში იგზავნება კაუსტიკური და კალცინირებული სოდა, თხევადი ქლორი, ორგანული გამხსნელები და სხვა პროდუქცია.

მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის დახმარებით რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში აშენდეს ქიმიური მრეწველობის თერთმეტი ობიექტი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოთ) ძეგლი საბჭოთა ჯარისკაცს — განმათავისუფლებელს ბუქარესტში; კონსტანცის ნავსადგურის დოკერები (ქვემოთ) ეროვნულ დღესასწაულს შრომითი მიღწევებით ეგებებიან. ისინი წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას — წლეულს დაამუშაონ 52 მილიონი ტონა ტვირთი.

ᲐᲯᲔᲠᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲤᲝᲢᲝᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

Ა. Ი. ᲒᲣᲐᲫᲔ



რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსანდრე ილიას ძე ბუაძე. შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე გამოაკლდა ჩვენს რიგებს კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, შესანიშნავი ადამიანი და მუშაკი, რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება საშობლოს, ხალხის ინტერესებისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი იყო.

ალექსანდრე ილიას ძე ბუაძე დაიბადა 1932 წელს ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1950 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტზე. 1955 წელს ინსტიტუტის დამთავრებას შემდეგ, ა. ი. ბუაძე შრომით საქმიანობას იწყებს ინჟინრად თბილისის კოროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში. 1957-1960 წლებში იგი მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს ინჟინრის, ხოლო შემდეგ უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, 1960-1968 წლებში კი ქარხანა „თბილისგაზაპარატის“ საწარმოო-სადისპეტჩერო განყოფილების უფროსად. 1968 წელს ა. ი. ბუაძე, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, ინიციატივიანმა სპეციალისტმა, დაინიშნა თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორად.

1965 წელს ა. ი. ბუაძე გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორის თანამდებობაზე, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობის წლებში ჩამოყალიბდა ა. ი. ბუაძის

მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ყველა პასუხისმგებელია

1 სექტემბერს ძალაში შევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულება „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“. საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს განმარტავს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტომინსპექციის სამმართველოს უფროსი ბ. ბ. შალამბერიძე.

აქტუალური ინტერვიუ

—დღეს ქალაქებისა და სოფლების ნორმალური ცხოვრება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა ვერ წარმოგვიდგენია უავტოტრანსპორტოდ. სსრ კავშირის საქმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში შემთხვევით როდი იყო ნათქვამი: „ისეთ ვრცელ სახელმწიფოში, როგორიც ჩვენია, სრულიად განსაკუთრებულ როლს ასრულებს ტრანსპორტი. ეკონომიკურს აც, პოლიტიკურს აც, და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიურ როლსაც“.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი. იზრდება მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის მოცულობა. სიჩქარე, კომფორტულობა, ეკონომიურობა — აი რით გვიზიდავს ავტომობილი.

მაგრამ მსოფლიო სტატისტიკა აღნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ჩვენი პლანეტის გზებზე საავტომობილო კატასტროფებში იღუპება 200.000-ზე მეტი კაცი, რვა მილიონამდე — სახიჩრდება.

როგორ არის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში?

ამავე სტატისტიკის თანახმად, საქართველოში ყოველწლიურად ავტოკატასტროფებში საშუალოდ იღუპება ათასამდე კაცი, სამი ათასზე მეტი სახიჩრდება. მიმდინარე წლის მარტო ექვს თვეში აღირიცხა 1.243 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა დროს დაიღუპა 321 და დაშავდა 1.505 კაცი.

აი რატომ არის, რომ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული აქტუალურობა ენიჭება. ახალი ბრძანებულება ხელს შეუწყობს საავტომობილო ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცებას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის უსაფრთხოების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას.

მაგრამ გზებზე უსაფრთხოება დამოკიდებულია არა მარტო ავტომობილისტებზე, არამედ ყველა მოქალაქეზეც. რომლებიც ასე თუ ისე აქტიურად მონაწილეობენ საგზაო მოძრაობაში. უსაფრთხოების უზრუნველყოფა დღეს საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა.

ახალი ნორმატიული დოკუმენტის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი წინა დოკუმენტისაგან ის არის, რომ მასში დიფერენციებულია პასუხისმგებლობა იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჩადენილ სამართალდარღვევათა ნამდვილი საზოგადოებრივი საშიშროება, კანონის მთელ ძალას წარმართავს მთგან ყველაზე საშიში დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხშირად გვეკითხებიან: რატომ არის დღემდე ასე ბევრი ავარია და უსაფრთხოების წესების დარღვევა რესპუბლიკის ტრასებზე? ამ წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ხომ მონაწილეობენ სახელმწიფო ავტოინსპექცია, უსაფრთხოების სამსახური და სხვა სამსახურები?

ყოველივე ეს სწორია, მაგრამ საჭიროა, რომ მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ არა გარკვეული ადამიანები, არამედ მთელი საზოგადოებრიობა, და, უწინარეს ყოვლისა, თვით მძღოლები. აი მაშინ გვექნება წესრიგი. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ავტოინსპექციის მუშაკმა გააჩერა მოჯირითე მძღოლი. იგი, ბუნებრივია, თავს იმართლებს, ამტკიცებს, წესი არ დამირღვევიაო, ხოლო დამსწრენი კრინტს არ ძრავენ, თითქოს ეს მათ არ ეხება. ამავე დროს ისინი, ან ზოგიერთი მათგანი მოწმე იყო მძღოლის მიერ ჩადენილი დარღვევისა.

ასეც ხდება. მძღოლმა მოძრაობის უსაფრთხოების წესები დაარღვია. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკი აძლევს სიგნალს გაჩერდეს, ის კი მშვიდად განაგრძობს გზას და წინასწარ იცის, რომ მხოლოდ ხუთი მანეთი ჯარიმა ელის.

ახალი ბრძანებულება საშუალებას მოგვცემს მკაცრად დავსაჯოთ ასეთი მძღოლები. რეგულირების სიგნალებისადმი დაუმორჩილებლობისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ჩამოერთმევათ მძღოლის უფლება ექვს თვემდე ვადით.

ბრძანებულებაში პრინციპულად ახალია პასუხისმგებლობის განსაზღვრა ავარიული ვითარების შექმნისათვის, რომლის დროსაც მძღოლს არა აქვს საშუალება დროულად და სწორად მოახდინოს რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე. ავარია არ არის, მაგრამ არის ავარიული სიტუაცია, და აი, აქ საზოგადოებრიობამ უნდა გამოთქვას თავისი გულისწყრომა, ახალი კანონის შინაარსის თანახმად კი დამრღვევი ოცი მანეთით ჯარიმდება.

განსაკუთრებით ბევრი დარღვევა აღინიშნება რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევისათვის ჯარიმდებიან ოცდაათ მანეთამდე, ხოლო განმეორებითს შემთხვევაში — ორმოცდაათ მანეთამდე ან ერთმევათ მძღოლის უფლება ექვს თვემდე ვადით.

ყველა ავარიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ლოთობა. მარტო შარშან სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებმა ორ წლამდე ვადით მძღოლის უფლებები ჩამოართვეს 2000 მძღოლს, რომლებიც ნასვამი მართავდნენ მანქანას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთვრალის რეაქცია სამ-ოთხჯერ არის შენელებული. მას არ ძალუძს სწრაფად შეაფასოს შექმნილი საშიშროება. ამიტომ ავტომობილის მართვა იმთაც უნდა ავუკრძალოთ, ვინც წინა დღით დალია სპირტიანი სასმელი. ორგანიზმი ხომ ერთბაშად ვერ თავისუფლდება ალკოჰოლისაგან.

საგანგებოდ მინდა შევეხო ახალი ბრძანებულების პუნქტებს, რომლებიც ეხება ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებების მართვას. ბევრმა ვერ გაიგო და ჰგონია, რომ შეიძლება მხოლოდ ჯარიმით გადაურჩნენ სასჯელს. მაგრამ ეს ასე არ არის.

ახალი ბრძანებულება ითვალისწინებს იმათ მკაცრად დასჯას, ვინც ნასვამი მართავს სატრანსპორტო საშუალებებს.

დადგენილია, რომ მძღოლი, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის პირველ შემთხვევაში იხდის ჯარიმას ას მანეთამდე ოდენობით. ჯარიმის ოდენობა გაფრთხილების საკმაოდ ეფექტიანი ღონისძიება იქნება, მაგრამ ამავე დროს საშუალებას მოგვცემს მძღოლებად შევინარჩუნოთ იმ პირთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც დაუდევრად შოკიდწენ მაგარ სასმელებს.

ახალი ბრძანებულება ხელს შეგვიწყობს უკომპრომისოდ ვებრძოლოთ იმათ, ვინც გაბედავს ავტომობილის საჭეს მიუჯდეს ნასვამი. თუ პირველ შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან ას მანეთამდე ან ჩამოერთმევათ მძღოლის უფლება ერთ წლამდე ვადით. განმეორების შემთხვევაში მათ მძღოლის უფლება ჩამოერთმევათ სამ წლამდე ვადით.

ახლა ბევრი მძღოლი თავს არიდებს სამედიცინო შემოწმებას. მათს დაკავებას, დარღვევის გაფორმებას ბევრი ძალ-ღონე და დრო სჭირდება. ახალი ბრძანებულება სრულიად სწორად ითვალისწინებს ერთნაირად დასჯას სამედიცინო შემოწმებისაგან თავის არიდებისათვის, ისევე როგორც ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისათვისაც.

ბრძანებულებაში მნიშვნელოვნად უნდა მიეჩნიოთ ისიც, რომ იგი ითვალისწინებს იმ პირთა დასჯასაც, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გზებისა და საგზაო ნაგებობების სათანადო მოვლა-შენახვის წესების დარღვევაში, გზის ცალკეულ უბნებზე საშიშროების წარმოშობისას მძღრაობის დროული შეზღუდვისა თუ აკრძალვის ღონისძიებათა განუხორციელებლობაში. დაისჯებიან ის თანამდებობის პირნიც, რომლებიც რეისში გაუშვებენ ტექნიკურად გაუმართავ ან ფეთხებურად გადაკეთებულ მანქანებს, აგრეთვე იმ მანქანებს, რომლებსაც სახელმწიფო ტექნიკური შემოწმება არ გაუვლიათ.

ახალი ბრძანებულების მოთხოვნების განუხრელი დაცვა ხელს შეუწყობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა არსებითს შემცირებას, რესპუბლიკის გზებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ 1 სექტემბერი. მოუთმენლად ელიან უმაწვილები, ქალიშვილები და ჭაბუკები შუბლიურ სკოლახთან, უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ, პროფტექნიკურ სასწავლებელთან შეხვედრას.

განსაკუთრებით დიდია მათი მოლოდინი, ვინც ახალი სკოლის, ან სასწავლებლის ზღურბლს უნდა გადააბიჯოს.

ახალი სასწავლო წლისათვის დიდ სიხარულს განიცდიან აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. დამთავრდა 5-სართულიანი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: (ზემოთ) აფხაზეთის უნივერსიტეტის ახალი კორპუსი.

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის პატარა, კოპწია სოფელს, ცივ-გომბორის მთების კალთებზე რომ შეფენილა და შორიელი წარხულის სიდუმბირის ხსოვნად არაშენდა შერჩენია სახელად, საპირველხელეტმბროდ დიდი სიხარული ელის. აქაურმა მშრომელებმა საუცხოო ხაჩუქარი მიიღეს. აქ ახალი ორსართულიანი სკოლა აშენდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: (ქვემოთ) არაშენდის რვაწლიანი სკოლა.

Ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და Ა. ᲑᲠᲝᲜᲨᲘᲡ ფოტო.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჭადრაკის სასახლეში დაიწყო გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის მეექვსე საერთაშორისო მემორიალი. განვლილ კვირა დღეს საზეიმოდ გაიხსნა ეს ტრადიციული ტურნირი. შეკრებილთ მიესალმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ლია ლომიძე. შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა თენგიზ გიორგაძემ მოაწყო წილისყრა და მოჭადრაკენი ასეთი თანმიმდევრობით გახლავდნენ: 1. ი. ადამსკი (პოლონეთი), 2. გია გიორგაძე, 3. ლ. ოლი, 4. ზ. სტურუა, 5. ე. მნაცაკანიანი, 6. ხ. კიარნერი, 7. ვ. გავრიკოვი, 8. გ. ზაიჩიკი (შვიდეთვე—სსრ კავშირი), 9. მურშედი (ბანგლადეში), 10. ე. უბილავა (სსრ კავშირი), 11. ო. ფოიშორი (რუმინეთი), 12. ბ. გურგენიძე (სსრ კავშირი), 13. რ. ჰენლი (აშშ), 14. ე. გუფელდი (სსრ კავშირი), 15. ს. ველიჩკოვიჩი (იუგოსლავია), 16. ხ. ნოგეიროსი (კუბა).

გუშინ გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები.

გუფელდმა მოუგო ახალგაზრდა ესტონელ ოსტატს ოლს, სტურუამ — ამერიკელ დიდოსტატს ჰენლის, ხოლო გავრიკოვმა — უბილავას. ადამსკისა და ნოგეიროს პარტია ყაიმით დამთავრდა. გადაიდო გიორგაძე — ველიჩკოვიჩის, მნაცაკანიან — გურგენიძისა და კიარნერ — ფოიშორის შეხვედრები. ზაიჩიკ — მურშედის პარტია არ შედგა (თბილისელი მოჭადრაკე დროულად ვერ დაბრუნდა უნგრეთის საერთაშორისო ტურნირიდან).

დღეს გაიმართება მეორე ტური.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲐᲨᲘ მიმდინარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატის მეორმეტე ტურში ა. კარპოვმა ყაიმით დაამთავრა პარტია პ. ოსტერმაიერთან (გფრ), თამაზ გიორგაძემ კი დაამარცხა არგენტინელი მ. კინტეროსი. მეცამეტე ტურში კარპოვმა მოუგო შეხვედრა ეი ძიანსიუანს (ჩინეთი), გიორგაძემ — ჰ. ბასტიანს (გფრ). შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე დაწინაურდა თამაზ გიორგაძე, რომელმაც 13 ტურის შემდეგ 10 ქულა დააგროვა. 9,5 ქულით მეორე ადგილზეა ა. კარპოვი. მესამე-მეოთხე ადგილებზე მყოფ ი. ბალაშოვსა და ე. ტორეს (ფილიპინები) 8-8 ქულა აქვთ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ქალაქ ბელფორში გრძელდება იუნიორთა (20 წლამდე ასაკის მოჭადრაკენი) მსოფლიო ჩემპიონატი. მეშვიდე ტურში ლენინგრადელმა სალოვმა დაამარცხა სიდი (არაბთა გაერთიანებული საამიროები), გეორგიევმა (ბულგარეთი) კი სტანეშევსკი (პოლონეთი). შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ ორნი — სალოვი და გეორგიევი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკვანძო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „ნისტრუ“-ქუთაისის „ტორპედო“ — 1:2, „დნეპრი“-კიევის „დინამო“ — 2:1, „ქალგირისი-ცსკა“— 2:1, „შახტიორი“-„მეტალისტი“ — 1:0. დღეისათვის 35 ქულით (25 მატჩიდან) ლიდერობს „დნეპრი“. მეორე ადგილზეა მინსკის „დინამო“ — 33 ქულა (25 თამაშიდან), მესამეზე — „სპარტაკი“ — 29 ქულა (23 შეხვედრიდან).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „სპარტაკმა“, რომელიც ესპანეთის ქალაქ ხიხონის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, ფინალური მატჩი მოუგო მადრიდის „ატლეტიკოს“ ანგარიშით 2:1 და პირველობა მოიპოვა.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲠᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ლატვიის საკურორტო ქალაქ იურმალაში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი. ხუთიდან ოთხი პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს: ქალთა წყვილებში — ს. ჩერნევამ და ლ. სავჩენკომ, ვაჟთა წყვილებში — ა. ზვერევმა და ს. ლეონიუკმა, ქალთა ერთეულებში — ლ. სავჩენკომ, შერეულ წყვილთა თანრიგში — ჩერნევამ და კ. პუგაევმა. ვაჟთა ერთეულებს შორის უძლიერესი გახლდათ მ. მეჩირი (ჩეხოსლოვაკია).

ᲨᲐᲨᲘ. ჰოლანდიის ქალაქ დევენტერში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. ხარკოველმა ვლადიმერ ვირნმ 11 შეხვედრიდან 9,5 ქულა დააგროვა და ოქროს მედალს დაეუფლა.

ᲡᲠᲝᲚᲝᲐ. ვილნიუსელმა სნაიპერმა ვადას ტურლამ ლვოვში მეგობრული არმიების ჩემპიონატზე 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა — 591 ქულა.

ᲠᲔᲒᲑᲘ. მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის პრიზის გათამაშება. ამ პრიზს მეექვსედ დაეუფლნენ საბჭოთა სპორტსმენები. ბოლო მატჩი ჩვენმა რეგბისტებმა მოუგეს იტალიელებს — 22:7.

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡᲐᲠᲓᲝᲜᲘᲐ. რომში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. ქალთა შორის 10-მეტრიანი კოშკიდან წყალხტომაში უძლიერესი გახლდათ 16 წლის პეზზელი გოგონა ალა ლობანკინა. მეორე ადგილიც საბჭოთა სპორტსმენმა, მინსკელმა ანჟელა სტასიულევიჩმა დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა რამონა ვენსელი (გდრ). სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა შერჩევითი მატჩი მოუგო ესპანეთის გუნდს — 10:9.

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ. ლონდონში დამთავრდა ევროპის თასების გათამაშება. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა, გუნდებს შორის პირველობა მოიპოვეს გდრ-ის სპორტსმენებმა (შესაბამისად 107 და 117 ქულა). მეორე ადგილები დაიკავეს საბჭოთა მძლეოსნებმა. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდები დაამყარეს ულრიკე მეიფარტმა (გფრ, პირველი ცდის შემდეგ) და თამარ ბიკოვამ (სსრ კავშირი, მეორე ცდის შემდეგ). ახალი სარეკორდო მაჩვენებელია 203 სანტიმეტრი.

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡᲐᲜᲣᲚᲘ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲜᲐᲠᲘ. ვენესუელის . დედაქალაქ კარაკასში მიმდინარე ამ დიდი ზეჯიბრების დროს 100 მეტრზე გულაძმა ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა რიკ კერიმ (აშშ) — 55,19 წამი.

რედაქტორის მოადგილე
Გ. ᲜᲐᲛᲔᲣᲚᲘᲐ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲠᲔᲘᲓᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲒᲐ

ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲗ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲛᲗᲐ ᲐᲕᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐ

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘ ოცნი იყვნენ და ჯგუფებად დაყოფილნი მოქმედებდნენ. რამდენიმე წლის წინათ თეიმურაზ ქვათაძე, როლანდ ფეზუაშვილი, თამაზ კოროშინაძე თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე დღისითმზისით ჯუმბერ თომაძის საცხოვრებელ ბინას მიადგნენ. ახალგაზრდები ზარს გამუდმებით რეკნენ, სახლის პატრონის კითხვაზე, აღელვებულებმა უპასუხნეს:

— მერი ავტოავარიაში მოჰყვა და ცოცხალ-მკვდარი საავადმყოფოში წაიყვანეს.

მეუღლის ამბის შეტყობინებით თავგზარდაცემულ ჯ. თომაძეს კარის გაღებისას ხელში პისტოლეტებთან შეიარაღებული ბანდიტები შერჩა. იგი მარტო იყო და აწამეს. წაიღეს ჩვიდმეტი ათასი მანეთი და სამკაულები. დაზარალებულმა ყოველივე ეს მილიციას შეატყობინა, თანნის რაოდენობა კი შეამცირა და 750 მანეთი განაცხადა.

როლანდ ფეზუაშვილი მილიციის ტანსაცმელში გამოეწყო, საკუთარი „ყიგულის“ საჭეს თეიმურაზ ქვათაძე მიუჯდა, ავტომანქანაში ეცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული თამაზ კოროშინაძე, ვაჟა ბიგანიშვილი, ელგუჯა კუბლაშვილი (იგივე გიგუნა) ჩაისვეს და დღისით-მზისით ბროლოსანის ქუჩაზე გაჩნდნენ. თ. ქვათაძე მანქანაში დარჩა, ხოლო დანარჩენები თვითმარქვია მილიციის ოფიცრის რ. ფეზუაშვილის წინამძღოლობით ანიკო მგელაძის სახლში შეიჭრნენ, სიკვდილის მუქარითა და ძალადობით აფფრიალეს და „ყირაზე დააყენეს იქაურობა. ბანდიტებმა რამდენიმე ათასი მანეთის სამკაული და ფული გაიტაცეს. ანალოგიური თავდასხმები მოაწყვეს ბახტრიონის ქუჩაზე ალექსანდრე გაფრინდაშვილის ბინაზე, საიდანაც წაიღეს ხუთი ათასი მანეთი და სამკაულები, დოლიძის ქუჩა № 3 კორპუსში თამარ აკიმოვას ოჯახიდან კი—ოთხასი მანეთი და სამკაულები.

ფეხზე დადგნენ სისხლის სამართლის სამმართველოს მუშაკები. ანალოგიური სამეგობროს ფანდურებებიანი ე. კუბლაშვილი და თ. კოროშინაძე. ამიტომ ბანდის დანარჩენი წევრები ამერიკულ დაფრთხნენ და წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არსად გამოჩენილან საოგაკაცოდ.

შესვენების შემდეგ ბანდიტებმა თბილისს თავი მოარიდეს და ახალი შეხვედრით (დიმატათ ახალი წევრი — ვალერიან გოგაშვილი, იგივე ჯონი) კახეთში გადაინაცვლეს.

გურჯაანის რაიონის კაჭრეთის ღვინის ქარხნის მეღვინე არნოლდ იაგანაშვილი სოფელ არაშენდაში ცხოვრობს, დიდებული სახლ-კარი აქვს. მილიციის ლეიტენანტის ფორმაში გამოწყვეპილი რ. ფეზუაშვილი და მისი ძმაკაცები 1981 წლის იანვარში, თითქოს ავტოინსპექტორები იყვნენ, არაშენდაში ეახლნენ ა. იაგანაშვილს. მასპინძელმა მილიციელი და უცხოები რომ დაინახა გაუკვირდა. ეიმკართან ა. იაგანაშვილს უთხრეს:

—ავტოავარია მოგიხდენიათ და იმიტომ ვართ მოსული.

მართალი არ იყვნენ თვითმარქვია ავტოინსპექტორები და მასპინძელიც მშვიდად და არხეინად შეუძღვა ეზოში, ავტომანქანა დაათვალიერებინა და შემდეგ მეორე სართულზე აიპატიჟა. მეღვინე რა კაცი იქნება, თუ სტუმარს, ისიც უცხოს, სუფრა არ გაუშალა და იაგანაშვილმა მეუღლეს ანიშნა პურ-მარილის თადარიგი დაეჭირა. ხელჩართული სმის მაგვარად ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ოთხმა შეიარაღებულმა ბანდიტმა სწრაფად გაკოჭა ცოლ-ქმარი, გაჩხრიკეს სახლი და ფული და მრავალი სამკაული წაიღეს.

— რა მორჩილი და უწყინარი ყოფილან მეღვინეები, ამდენი ფული და სიმდიდრე წავიღეთ, მაგრამ თითქოს ბუზიც არავის აეფრინოს, ისე იქცევიან, მაგათზე ნაღდი ხალხი იშვიათად მოიძებნებაო, — თქვეს ბანდიტებმა და ყურადღება ღვინის ქარხნებზე გადაიტანეს.

ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი ანაგის ღვინის ქარხნის უფროს მეღვინეს ზურაბ ბაკაშვილს, და მართალიც იყო. ამატომ რ. ფეზუაშვილმა, თ. ქვათაძემ და ვ. ბიგანიშვილმა გადაწყვიტეს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში მის ოჯახზე თავდასხმა. ნუღლა, ასე ეძახდნენ მეტსახელად ზ. ბაკაშვილს, ისეთი გულუხსტი არ იყო, სამი კაცის ერთ შეძახებაზე შეშინებოდა, ბანდიტებს საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდათ და დასავლეთ საქართველოდან მოიშველიეს ტყიბულელი მეტად „პოპულარული“ და სახელგანქმული „კატაგ“ წოდებული მურმან ბრეგაძე, ანზორ ხუციშვილი, ტარიელ ონიანი და თემურ ფხაკაძე. შვიდი ბანდიტი ორ „ყიგულში“ მოკალათდნენ და ერთ საღამოს საქობოში ამოყვეს თავი. თითქოს მექორწინენი არიანო, ისე შეგრილდნენ ავტომანქანების სიგნალებით ზ. ბაკაშვილის ფართო ეზოში. ანაგის ქარხნის უფროსი მეღვინე დილისათვის თადარიგს იჭერდა, ელექტროსამართებლით პირს იპარსავდა. ხმაურზე ცალლოყა გაპარსულმა ნუღლამ მეორე სართულის კიბის ბაქნიდან გადმოიხედა, უცხო სტუმრები რომ დაინახა, გაკვირვებულმა გადმოძახა:

— ვინა ხართ?!

— ვინა ვართ და ფულის წასართმევად ვართ მოსულები.

— რამდენი ხართ?

— ათნი ვართ, — იცრუეს ბანდიტებმა. ზ. ბაკაშვილს ალარ აცალეს მეტის თქმა, შეაგდეს სახლში და გათოკეს, ქალები ცალკე კუთხეში მიყარეს, დაიწყეს ბინის გაჩხრეკა... წაიღეს 57.000 მანეთი ნაღდი ფული, 200.000 მანეთის რამდენიმე შემნახველი სალაროს წიგნაკი და ანტიკვარული ნივთები.

ხელფეხშეკრულმა ნუღლამ წასვლისას ბანდიტებს მიაძახა:

— ჩქარა ნუ ავლოთ, გზაში ავარია არ მოგიხდეთ, ნუ გეშინიათ, არც მილიციაში განვაცხადებ და არც არავის ვეტყვი.

სიტყვის კაცი იყო ზ. ბაკაშვილი და ხმა-კრინტი არსად არ დაუძრავს, მხოლოდ სანდო კაცი მოძებნა, უკან დაიბრუნა შემნახველი სალაროების წიგნაკები, ანტიკვარული ნივთები და საზღაურად 50.000 მანეთი გადაიხადა.

შარშან იანვრის ერთ საღამოს ავტოინსპექტორის ფორმაში გამოეწყო რ. ფეზუაშვილი, ქიგულში ჩაისვა მ. ბრეგაძე, ა. ხუციშვილი და თ. ქვათაძე. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით კახეთის გზატკეცილზე დაელოდნენ მორიგ მსხვერპლს — საგარეჯოს „ნავთობბაზის“ საწყობის გამგეს ვალიკო ჩერქეზიშვილს. ოთხეული ლანდიგით აედევნა მის ავტომობილს. თბილისში ნეიცტბიძის პლატოსთან რ. ფეზუაშვილმა, როგორც ავტოინსპექტორმა, მოძრაობის წესის დარღვევისათვის გააჩერა ვ. ჩერქეზიშვილი და მართვის მოწმობა ჩამოართვა, ამ დროს კი დანარჩენები უკნიდან მიეპარნენ და თავზე ჩამოაფხატეს ბრძეული ნაქსოვი ქუდი. თვალებახვეული მსხვერპლი გაიტაცეს წყნეთის ტყეში და მთელი ღამე აწამეს... გამონახეს საერთო ნაცნობი და იმავ ღამეს წყნეთის ტყეში ჩამოიყვანეს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში მცხოვრები ქურდი და ავაზაკი აკაკი ავთანდილის ძე ბოლაძნშვილი. ხეზე მიბმული ვ. ჩერქეზიშვილი ახსნევინა შუაკაცმა, დაუყვავა და 80 მოქმედების * გეგმა შეცვალეს ბანდიტებმა და მეორე დღეს შებინდებისას სოფელ ჯიმითთან ჩაუსაფრდნენ მსხვერპლს. გამოჩნდა თავის „ვოლგით“ ა. შავლიაშვილი, გზაზე კაპოტახდილ „ყიგულთან“ ოთხი კაცი ფუსფუსებდა, ერთ-ერთმა ვოლგიან მგზავრს ხელი აუწია და ქანჩი თხოვა. გაჩერებულს ხელის გამართვა უნდაო, და ა. შავლიაშვილის ავტომობილიდან გადმოსვლა და სპეციალური ნაქსოვი ქუდის თავზე ჩამოფხატება ერთი იყო. იგი თავისივე „ვოლგაში“ შეაგუბეს და გომბორის ტყისაკენ გააქანეს.

მარტის სუსხიანი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. ხეზე მიკრულ მეღვინეს წმენისაგან არაქათი გამოლეული ჰქონდა, და ბანდიტებმა როგორც იქნა დაიყოლიეს გამოსახსნელ თანხაზე. ა. შავლიაშვილს მრავალი კანდიდატურა დაასახელებინეს და, როცა მან ს. კალანდარიშვილის ზედმეტი სახელი ქუზო ახსენა, მაშინ ორი ბანდიტი ხეზე მიკრულთან დარჩა, ხოლო მ. ბრეგაძე და თ. ქვათაძე ხაშმში წამოვიდნენ საქმის მიმცემთან, მაგრამ მას იქ ვერ მიუსწრეს, თბილისში ბარხოვის ქუჩაზე იყო წასული თავის სახლში ს. კალანდარიშვილი და იქიდან წამოიყვანეს გომბორის ტყეში.

ს. კალანდარიშვილის დანახვაზე ა. შავლიაშვილს სიხარულისგან თვალებზე ცრემლი მოადგა:

— შენ გენაცვალე, ქუზო, დამიდექი თავდებად და პატივისცემა ჩემზე იყოს.

— რად მრევთ, ხალხნო, ასეთ საქმეში, შარის თავი არა მაქვს, მაგრამ რა ვუყო, ჩემი ძმაკაცია და თქვენ ხომ არ მოგაკვლევინებთ?! კი, ბატონო, მე მოგიტანთ ოცდახუთ ათასს.

რამდენიმე დღის შემდეგ ს. კალანდარიშვილმა დაპირებული ფული თ. ქვათაძეს გადასცა.

შარშან 12 სექტემბერს ოცდაექვსი კომისრის სახელობის რაიონის სახელმწიფო ბანკის საკასო ოპერაციების განყოფილების გამგემ თოდუამ მოისურვა სამოცდარვა ათას ხუთასი მანეთი წვრილ კუპონები გადაეხურდავებინა ას და ორმოცდაათმანეთიანებზე, მაგრამ თავის სამუშაო ადგილზე ფულის გამოცვლას მოერიდა, მოელაპარაკა ლენინის სახელობის რაიონის სახელმწიფო ბანკის თანამშრომლებს და ნათესავი მერაბ მჭედლიძე გაგზავნა ფულის გადასაცვლელად. მ. მჭედლიძემ ლენინის სახელობის რაიონის ბანკში ოცი ათასი მანეთი გადაახურდავა, ხოლო დანარჩენი სახლში წამოიღო. ფული ოჯახში ნახეს მისმა მეუღლემ და მეზობელმა ქალმა ჩადუნელმა.

ამდენი ფულის დანახვაზე ქალები გაკვირდნენ და ლაპარაკი დაიწყეს, ნეტავ ვისი „უნდა იყოსო. ლაპარაკს ყური მოჰკრა გიორგი გიორგის ძე ჩადუნელმა. მან. ისიც დაეზუსტა, თუ როდის უნდა წაეღოთ ფული ბანკში გადასაცვლელად. გ. ჩადუნელი გაიძვერა და ვერაგი კაცია. იფიქრა ამ მონაცემებზე ბაშმში წამოვიდნენ საქმის მიმცემთან, მაგრამ მას იქ ვერ მიუსწრეს, თბილისში ბარხოვის ქუჩაზე იყო წასული თავის სახლში ს. კალანდარიშვილი და იქიდან წამოიყვანეს გომბორის ტყეში.

ბანდიტებმა და მეორე დღეს შებინდებისას სოფელ ჯიმითთან ჩაუსაფრდნენ მსხვერპლს. გამოჩნდა თავის „ვოლგით“ ა. შავლიაშვილი, გზაზე კაპოტახდილ „ყიგულთან“ ოთხი კაცი ფუსფუსებდა, ერთ-ერთმა ვოლგიან მგზავრს ხელი აუწია და ქანჩი თხოვა. გაჩერებულს ხელის გამართვა უნდაო, და ა. შავლიაშვილის ავტომობილიდან გადმოსვლა და სპეციალური ნაქსოვი ქუდის თავზე ჩამოფხატება ერთი იყო. იგი თავისივე „ვოლგაში“ შეაგუბეს და გომბორის ტყისაკენ გაქანეს.

მარტის სუსხიანი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. ხეზე მიკრულ მეღვინეს წმენისაგან არაქათი გამოლეული ჰქონდა, და ბანდიტებმა როგორც იქნა დაიყოლიეს გამოსახსნელ თანხაზე.